N 223 18/05/2018

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელს ვლადიმერ ნანაძეს

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო ვლადიმერ,

გიგზავნით, მიმდინარე წლის 16 მაისს ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში გამართულ მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმს.

დანართი: ოქმი №4 -2 (ორი) ფურცელი

პატივისცემით,

ხათუნა ვადაჭკორია

პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი
საკრებულოს აპარატი

მოსახლეობასთან შეხვედრის ოქმი №4

მუნიციპალიტეტის დასახელება: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი

სოფელი, თემი, დაბა: ნინოშვილის ადმინისტრაციული ერთეული

შეხვედრის ჩატარების თარიღი: 16.05.2018 წელი 12:00 საათი

შეხვერდას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი **ალექსანდრე სარიშვილი,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი **ვლადიმერ ნანაძე,** სოფელ ნინოშვილის მაჟორიტარი დეპუტატი **დავით ჩხარტიშვილი,** მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე **ეკატერინე გუჯაბიძე,** მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის უფროსი **თამარ ფირცხალაიშვილი,** ფრაქციია ,,ლანჩხუთელები ძლიერი თვითმმართველობისთვის" თავმჯდომარე **ლელა ჩახვაძე,** მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვისს სამსახურის უფროსის მოვალეობის სემსრულებელი **მამუკა ვადაჭკორია,** მერის წარმომადგენელის მოვალეობის შემსრულებელი ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში **ალქსანდრე ჩხარტიშვილი,** ინფრასტრუქტურის სამსახურის თანამშრომლები: **ნუგზარ ბოლქვაძე** და **ზურაბ ბზეკალავა,** მერიის საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი **მაკა სულაბერიძე,** მესამე რანგის, პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი **მაია კუპატაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის, პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ხათუნა ვადაჭკორია.**

სოფელ ნინოშვილში შეხვედრა სოფლის ადმინისტრაციული შენობიდან დაიწყო, მერის წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელმა ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში- **ალქსანდრე ჩხარტიშვილმა** განაცხადა, რომ სოფლის მოსახლეობის საერთო პრობლემა აზიურ ფაროსანასთან ბრძოლაა. პირველ ეტაპზე სოფელის ტერიტორიის შეწამვლა დასრულდა, მეორე ეტაპზე კი ცალკეული ეზოების შეწამვლა იგეგმება.

დავით ჩხარტიშვილმა განაცხადა, რომ სოფელში ძირითადად პრობლემა ინფრასტრუქტურის კუთხითაა, მიმდინარეობს სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების აღდგენა, დაზიანებულია სოფლის შიდა გზები, რამდენიმე ადგილას დაგეგმილია ხიდის მშენებლობა.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა სოფელ ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში მოინახულეს საბავშვო ბაღი. რომელიც ერთ ჯგუფზეა გათვლილი, 34 აღსაზრდელია და 8 პედაგოგი. ბავშვთა ასაკის სხვადასხვაობის გამო ექმნებათ სირთულეები აღმზრდელობითი კუთხით, აუცილებელია მეორე ჯგუფის დამატება. მენეჯერმა ასევე განაცხადა, რომ ესაჭიროებათ სათავსოები, რათა შესაბამისად მოხდეს სათბობი მასალისა და პროდუქტების შენახვა.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა დაათვალიერა. მუნიციპალიტეტის მერმა განაცხადა, რომ საჯარო სკოლების მოვლა-პატრონობა მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში გადადის, რომლისთვისაც პირველ ეტაპზე **200 000** ლარი გამოიყოფა.

საჯარო სკოლის მენეჯერმა განაცხადა, რომ აუცილებელია ეზოს შემოღობვა, რისთვისაც დაახლოებით 150 მეტრი შესაღობი მასალაა საჭირო. ასევე მოსაწესრიგებელია სველი წერტილები, სტადიონი და სკოლის ეზოში შესასვლელი ტერიტორია, რომელიც წვიმის დროს იტბორება.

დეპუტატმა დავით ჩხარტიშვილმა და ხელისუფლების წარმომადგენლებმა ერთად მოინახულეს ოჯახები, რომელთაც გადაუდებლად ესაჭორიებათ დახმარება.

ხოზრევანიძე ნოდარი - საცხოვრებელი სახლი და ეზო მდებარეობს ლესა-ოზურგეთის ცენტრალურ გზის მიმდებარედ. წვიმის დროს ზიანდება როგორც გზა, ასევე საკარმიდამო ეზო, რომლის გარკვეული ნაწილი წყალმა წაიღო.

ინფრასტრუქტურის სამსახურის სპეციალისტების განაცხადებით აღნიშნული პროცესის შესაჩერებლად, უცილებელია სპეციალური სამუშაოების ჩატარება (სანიაღვრე არხის მოწყობა) .

მოქალაქე **გია ჩავლეიშვილმა** ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს დაათვალიერებინა მის საკუთრებაში არსებული ეზო და მიმდებარე ტერიტორია, სადაც არასწორად დაგეგმარებული გაბიონია, შესაბამისად არ ხდება წყლის ნაკადის გატარება, რაც საცხოვრებელ სახლს უქმნის საშისროებას. მისივე განცხადებით, დაზიანებულია ცენტრალური წყლის მილები, რომელიც საჭიროებს შეცვლას.

„ჯორისმერეს" უბანში მოინახულეს **გულნაზი კვაჭაძე-ბოლქვაძის** სახლ-კარი. სახლის სახურავი დაზიანებულია, მუნიციპალიტეტის მერიამ გადასცა სახურავი, თუმცა არ არის საკმარისი. მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** დაეხმარება აღუთქვა აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად.

ლამარა ღლონტი - საცხოვრებელი სახლის უკან მდებარე „მცოცავი მთა" უქმნის საფრთხეს, თუ დროულად არ ჩატარდება შესაბამისი სამუშაოები მის საცხოვრებელს შეექმნება პრობლემები. ასევე მისი ეზოს მიმდებარედ მოსაწესრიგებელია მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზები.

მუნიციპალიტეტის მერმა აღუთქვა, რომ დროულად მოაწასრიგებენ დენის გადამცემ ხაზებს და შესაბამის სამსახურთან ერთად იმსჯელებენ პრობლემის აღმოფხვრის მიზნით.

ზემო ყელაში, ირემაძეების უბანში მდინარის ნაპირგასამაგრი სამუშაოებია ჩასატარებელი. **ნური ირემაძემ** განაცხადა, რომ მოსახლეობა საკუთარი ძალებით ეცადა პრობლემის მოგვარებას, მაგრამ საჭიროა მძიმე ტექნიკის ჩარევა.

ინფრასტრუქტურის სამსახურის სპეციალისტებმა განაცხადეს, სარეაბილიტაციო მონაკვეთი დიდია და მიუვალი, ამიტომ აუცილებელია პროექტის შემუშავება და ფინანსების მოძიება.

კატუშა დონდოლაძე - მის საკუთრებაში არსებული სახლი, საჭიროებს კედლების და სახურავის დროულად შეკეთებას. ის პენსიონერია და არ გააჩნია ფინანსური საშუალება. საკრებულოს წევრები შესაძლებლობების ფარგლებში დროულად დახმარებას დაპირდნენ.

ნათელა მარგალიტაძე - ჰყავს ასაკიანი (ინვალიდი) დედა და სამი არასრულწლოვანი შვილი, სახლი ავარიულ მდგომარეობაშია, რომელის შეკეთებაც შეუძლებელია. მუნიციპალიტეტის მერიამ გადასცა მასალა სახურავისთვის, მაგრამ სახლის კედლები ავარიულია და გადახურვა ვერ კეთდება. სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელმა, **თამარ ფირცხალაიშვილმა** განაცხადა, რომ ამ ეტაპზე შესაძლებელია აღნიშნული ოჯახის ქირავნობის პროგრამაში ჩართვა.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განაცხადა, რომ მიმდინარე წელს სოფელ ნინოშვილში აღდგება დაზიანებული მილხიდები, მოეწყობა გაბიონები, მოიხრეშება შიდა გზები. რომლის საერთო ღირებულება 123 197 ლარს შეადგენს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვლადიმერ ნანაძე